სადოქტორო კვლევითი განაცხადისა და პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები

სადოქტორო კვლევითი განაცხადისა და პრეზენტაციის შეფასება	**60 ქულა** **გადასალახი ზღვარი 31 ქულა**
შესავალი	10 ქულა
ლიტერატურის მიმოხილვა	10 ქულა
კვლევის მეთოდები	10 ქულა
კვლევის მნიშვნელობა	10 ქულა
პრეზენტაცია	10 ქულა
დისკუსია/დებატები	10 ქულა

შესავალი - ფასდება, თუ რამდენად სრულყოფილად არის: აღწერილი საკვლევი სფერო, გამოკვეთილი პრობლემის არსი, დასაბუთებული აქტუალურობა, ჩამოყალიბებული კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები, კვლევის კითხვები და ჰიპოთეზა/ჰიპოთეზები;

ლიტერატურის მიმოხილვა - ფასდება, თუ რამდენად სრულყოფილია ლიტერატურის (წყაროების) მიმოხილვა;

კვლევის მეთოდები - ფასდება კონკურსანტის მიერ კვლევის მიზნის მისაღწევად საჭირო კვლევის მეთოდების შერჩევის ადეკვატურობა;

კვლევის მნიშვნელობა - ფასდება, თუ რამდენად არის წარმოაჩენილი კონკურსანტის მიერ კვლევის თეორიული და პრაქტიკული სარგებელი, აგრეთვე კვლევის მოსალოდნელი შედეგების პოტენციური წვლილი დარგის განვითარებაში;

პრეზენტაცია - კონკურსანტი წარმოადგენს მაქსიმუმ 15 წუთიან პრეზენტაციას სადოქტორო კვლევითი განაცხადის შესახებ. პრეზენტაციის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პრეზენტაციის ტექნიკის ფლობა, საკითხის გადმოცემის ლოგიკურობა და თანმიმდევრულობა;

დისკუსია/დებატები - დისკუსიისას შეფასდება კონკურსანტის კომპეტენცია კვლევის სფეროში და კითხვებზე არგუმენტირებული და თანმიმდევრული პასუხის გაცემის უნარი.